

# ლიცენოცენტრი საშური



საშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება  
№7, 30 ივლისი, ორშაბათი, 2018 წელი

## ხელოვნური გულით ვერ იცხოვრებდა

თითოეული ქართველი მკითხველის ცნობიერებაში ღმერთიანი სევდით შემოვიდა ნოდარ დუმბაძე და საშურადამოდ დამკვიდრდა, როგორც ეროვნული, ნიჭიერი და კოლორიტული მწერალი. მთელ საქართველოს მისი სახელი ეკერა პირზე. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ნარმატებით იდგმებოდა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სცენაზე.

შემდეგ იყო „მზიანი ღამე“, „თეთრი ბაირალები“, „მარადისობის კანონი“, არაერთი შესანიშნავი მოთხრობა და საბავშვო ლექსები...

ხარაგაულის რაიონული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ლილი ბაქრაძემ ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი მოიწვია:

ნოდარ დუმბაძე, მურმან ლებანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ელგუჯა მალრაძე და ლადო მრეველიშვილი.

ქალბატონმა ლილიმ მეც დამპატიჟა, – როგორც ხარაგაულის მკვიდრი. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა. ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ ბუმბერაზი მწერლების გვერდით ყოფნა.

სალამო მაშინდელ კულტურის სახლში გაიმართა. რაიონი მოეფერა სასახლო სტუმრებს. არაჩვეულებრივი საზოგადოება შეიკრიბა. იყო ლექსი, სიმღერა და, რა თქმა უნდა, იუმორი, რაშიც ნოდარ დუმბაძეს ვერავინ შეედრებოდა. მწერალმა უამრავი კურიოზი გაიხსენა. ყველაზე მეტად ერთი დამამახსოვრდა:

– მწერლები მთას წავედით, მწყემსებთან, – ყვება ნოდარ დუმბაძე, – თან ჩვენი წიგნები წავეღეთ. ერთი გაბედული მწყემსი წამოდგა თურმე და ეუბნება: – თქვენ რა, მოცლილები ხართ? ჩვენ რომ ეს წიგნები წავიკითხოთ, ჩვენს ცხვრებს მომწყემსავთ? სულ მგლები დაგიჭამენო. ტელევიზია კი იღებს, თურმე, სინქრონულად, ხმა მერე დაიდება. „ვუყურებ გადაცემას – (ილიმბა ნოდარი) და რას ვხედავ, დიქტორი აცხადებს, მწყემსები ძალზე კმაყოფილები დარჩნენ მწერლების სტუმრობით და პირობა მისცეს, თქვენს წიგნებს სულმოუთქმელად წავიკითხავთ, მომავალში კიდევ მოგვანოდეთო.

როგორც ჟურნალისტი, რამდენჯერმე შევხვდი ბატონ ნოდარს. ახალი დანიშნული იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, პირველად რომ მივაკითხე. გულთბილად მიმილო, საბავშვო გაზეთიდან ვარ მეთქი, რომ ვუთხარი, ჩვენი რედაქტორი ვანო ცერცვაძე მოიკითხა, პროფესიონალიზმისა და მოზარდ თაობაზე ზრუნვისთვის შეაქო.

შინაურივით გადამიშალა გული. ჯანმრთელობას უჩიოდა. ძალზე დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრაო, – მითხრა, უარს ვამბობდი ამ თანამდებობაზე, მაგრამ ედუარდ შევარდნაძე არ მომეშვა, შენ უნდა უწინამძღვრო ქართველ მწერლებსო. მეტი რა გზა მაქვს, უფლის წყალობით უნდა შევძლოო.

ძალზე აინტერესებდა ჩვენი გაზეთის საქმიანობა. უყვარდა ბავშვები. ამერიკაში მოგზაურობისას „დისნეი ლენდი“-ს სწვევია და წარუშლელი შთაბეჭდილებით დაბრუნებულა. ქართველ ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თავისი „დისნეი ლენდი“-ო, მითხრა მწერალმა. ალბათ, ამას ისახავდა მიზნად, როცა საბავშვო ქალაქ „მზიური“-ს მშენებლობის იდეა მიაწოდა ჩვენს საზოგადოებას.

სამწუხაროდ, მისი გეგმა ბოლომდე ვერ შესრულდა. მწერლის ანდერძის თანახმად, იგი „მზიურში“ დაკრძალეს, მოგვიანებით, ქართველმა ერმა იგი „მთანმინდას“ აამალა.

ერთხელ, ფოტო-კორესპოდენტთან – გენადი სანაიასთან ერთად, შინ ვენვით ნოდარ დუმბაძეს. გაზეთისთვის იგი შვილიშვილთან ერთად უნდა გადაგველო.

სწორედ იმ დღეს მიამბო მწერალმა ბავშვობისდროინდელი ანცობის – თხილის ქურდობის ამბავი. ბავშვობაში, მეგობრებთან ერთად თხილი მოუპარავს. მეველეს დაუჭერია ბიჭები, მაგრამ არცერთს არ უღიარებია. მეველემ ნოდარს უთხრა:

„ქიშვარდის შვილიშვილს ასეთი საქციელი არ გეკადრება. **გახსოვდეს, ბაბუ, შუბლის ძარღვს გაუფრთხილდი, თუ ერთხელ გაგინცდა, მერე წასულია შენი საქმე, ველარაფერი გიშველისო.**“

– იმ დღის შემდეგ, სულ ყურში ჩამესმის ბრძენი მოხუცის სიტყვები და მთელი ცხოვრება ვცდილობ, შუბლის ძარღვი არ გაგინყვიტო“, – დაასრულა საუბარი ბატონმა ნოდარმა.

თვალთ მწერლის შვილიშვილს ვეძებდი, არსად ჩანდა. არადა, წინასწარ გავაფრთხილე ფოტო რომ უნდა გადაგველო შვილიშვილთან ერთად. ბოლოს შევეკითხე. – ბებიასთან წაიყვანესო, – დინჯად მიპასუხა. ბებია მამის დედა გახლდათ. ბავშვის მამა – ნოდარ დუმბაძის სიძე, ნიჭიერი მწერალი ჯემალ თოფურიძე, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა. შვილიშვილი მწერლის ოჯახში იზრდებოდა.

– თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით მიდის ხოლმე ბებიასთან. რას ნიშნავს სისხლის ყვილი, – დასძინა ბატონმა ნოდარმა და არც ახლა უღალატა თავის ჩვეულ გულწრფელობას: – არ მინდა, ვინმემ თქვას, ნოდარ დუმბაძე საკუთარ შვილიშვილს ავტორიტეტს უქმნის, ჯერ ბავშვია, გაიზრდება და საკუთარი სახელით იცხოვრებსო.

კედელზე პატარა, ათიოდე წლის ბიჭის სურათი ეკიდა. ვკითხე: – ეს თქვენი შვილიშვილია მეთქი? სახეზე სევდამ გადაუარა, პაუზა გააკეთა და არაო

– მითხრა. ეს ჩემი გარდაცვლილი ვაჟიაო. შევწუხდი, ჩემდაუნებურად, ტკივილი რომ მივაყენე.

მწერალს მძიმე ბავშვობა ჰქონდა, მამა 37-იანი წლების მსხვერპლი იყო. ახალგაზრდა დახვრიტეს. დედა დიდხანს იყო გადასახლებაში. გვიან დაბრუნდა, ნოდარი უკვე დიდი იყო. დიდხანს ჰქონდა გაუცხოების განცდა დედის მიმართ, ბოლოს დასძლია.


მშობლების სურათი ეკიდა თურმე კედელზე. მამა ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, დედა ხანშიშესული ჩანდა. ერთხელ სტუმარს უკითხავს, ეს კაცი ამ ქალის შვილიაო? იმ დღეს ორივე სურათი ჩამოხსნა და შეინახა.

გულიანი ადამიანი იყო ნოდარ დუმბაძე. გული დაუმძიმა მძიმე ბავშვობამ, შვილის, სიძის გარდაცვალებამ, უამრავმა ცხოვრებისეულმა უსამართლობამ... იგი გულის ნაწილს დებდა ყოველ სიტყვაში, ყოველ წინადადებაში და მკითხველისგან სიყვარულით უბრუნდებოდა.

მწერალი უშურველად იხარჯებოდა. ველარ გაუძლო ამდენს გულმა... შეეცადნენ მის გადარჩენას, ხელოვნური გულის ჩადგმა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა...

ნოდარ დუმბაძე ხელოვნური გულით ვერ იცხოვრებდა...

14 ივლისი ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეა.



ნოდარ დუმბაძე - 90


# იუბილე



## მურად მთვარელიძე 65

\* \* \*

წესად შექცა დღეს მამულზე ფიქრი,  
 მამა-პაპის დატოვილი ჩვევა,  
 უკეთესი საქართველო მდის,  
 უარესი საქართველო ჩივსა!..  
 ჩამქრალია ცა და არის ბინდი  
 და იმედოც თითქოს აღარ ჩნდება,  
 წესიერი საქართველო მდის  
 და უზნეო საქართველო ჩივსა!..  
 ველარ ვუბლოვ სატანათ ქირჩილს,  
 ბავებზე შეყინება ჩივსა,  
 უთბილოესი საქართველო მდის,  
 უცხოვესი საქართველო ჩივსა.  
 თითქოს ვახდა დღეს ცხოვრება მშვიდი,  
 მაგრამ ვხედავ, რომ ვაქცოვს ჩვირებად,  
 ქრისტეანი საქართველო მდის  
 და უღმერთო საქართველო ჩივსა!..  
 ვინმემ მითხრას, დამაჯეროს ოღონდ:  
 – ვადავდე მავ გულიდან ლოდო ...  
 მთავრე წუხილი და ბოღმა, –  
 უკეთესი საქართველო მდის!



### ცხელი სიტყვა, ნითელ მიხაკად აღმოცენებული (მურად მთვარელიძის „ტიციანელო“)

იყო ბიოგრაფოსი, – ერთი საკითხია, იყო რომანისტი – მეორე, იქნებ ესეის ფორმატი უფრო შეეფერება ასახული თემას?

აღბანთ, კიდევ უფრო, განსხვავებული კუთხით ათვალიერებდა „შემოქმედებით კალეიდოსკოპში“ მურად მთვარელიძე ნლოზით ნაფიქრ-ნაზრევს, ტრავმული ზედსწერის მქონე, „ორპირის ფშანზე“ დაბადებულ და „რისფერყანნელთა“ ნითელი მიხაკის ორდენოსან ტიკე ტანძრეზე, რომელმაც სამწერლობო სახელად ტიციანი შეარჩია, ვალაკტიონ ტანძრისათვის „ტიციანო“, „ტიკია“ იყო იგი.

ამ საოჯარო, მომხიზლავ ნიგნს კი, ავტორმა „ტიციანელო“ დაარქვა. მურად მთვარელიძე მეწიერია, ლიტერატურის ისტორიკოსი, ფილოლოგიის მეწიერებთან დოქტორი, სტუდენტებისთვის საყვარელი ლექტორი და მწერალთა არქივების მკვლევარ-მაძიებელი... რა კი დაუნერია ძველი, ახალი თუ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, – დალდასმულია ავტორის ღრმა ერუდირით, პოეტური ფანტაზიის ღრუბელში გატარებული და გასივრდილებული.

ძნელი იყო იმაზე წერა, ვინც შეენირა რეპრესიების „დამოკლეს მახვილს“, ვინაც სადღაჯ, იქნებ არაქართულ მიწაზე დალია სული და დაემსგავსა „ახელთაყუჩიან თევზს“, რომელსაც აუკრძალეს ლექსებით სუნთქვა, ფიზიკური სუნთქვა, თვითნებ, რისფერი თვალნებით დაჭერილი შიშის გარემოში მოლოდინით რომ ეხოვრობდა, მან უკვე გამოსწავა, რა იყო სიკვდილი, ნამება თუ დაკითხვის სიავხელი...

ასე იშვა მესხიერების, შემოქმედის ტვინის ხვეულებში წლების განმავლობაში დაბადებული თემა – „ტიციანელო“, რომელმაც წელს იხილა დღის სინათლე გამომქვედლობა „უნივერსალიში“, ზინესის ადმინისტრირების დოქტორის – ზაქონი გელა ჩადუნელის ფინანსური მხარდაჭერით. „ნათლიობა“ – რედაქტორობა კი ფილოლოგიის მეწიერებთან დოქტორმა, თამარელა ნონორიამ გაუნია.

ნიგნი სიყვარულით არის სავსე, თანაგრძობით, – ფეხდაფეხ რომ მიჰყვება პოეტის მიერ განვლილ გზას. ეს არის ერთგვარი „გზანი სრულყოფისანი“ ორპირის ფშანთან გაზრდილი ბიჭისა, ლექსით რომ სწავდა გაემართლებინა ფერწერის ოსტატის – ტიციანის სენიობა, ფერმა, განრდამ, სიხლისკენ სიმბოლოებით სწრაფვამ რომ აქრია ქალღვას მომღერლად. ლირიკული ჩანარებები ავტორის მიერ გამოყენებულია მკითხველის ერთგვარ შემარხველად.

ვალაკტიონის სახელს მურად მთვარელიძე მათი სიჭაბუკის წლებთან იძლევა, აქაც სიბნობა ორ პოეტს შორის, ნათესაური და პოეტური სიბნობა, სიყვარულით გარემორყული... სად და როგორ ნავა ეხოვრების გზა მომავალი „რისფერყანნელის“? რა იღებთ, როგორი სიმბოლოებით შემოიჭრება სამი ახალგაზრდა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში? ვაბედული და მჭრელია სიტყვა მთხრობელისა, რომელსაც სჯერა თავისი გმირის – ტიციანელოსი. პოეზია ეხოვრების ასახვაა და თვით ეხოვრებნარ პოეზიას ტიციანისათვის, რომელსაც უყვარს თანამომხენი. არის ნინო მაცაშვილის „პიერო“ და თამუნია წერეთლის პლატონური მიჯნურიც. ნიგნის სტრიქონები დასაწყისში მსუბუქად მიინევენ მაღლა-მაღლა, 30-იან წლებში კი ტყვიასავით მძიმდებიან ზენოლით, „დამოკლეს მახვილის“ ქვეშ დგომით.

ლიტერატურათმცოდნეული შეფასება არაერთგზის გაჰყვება ტიციანის შემოქმედების წარმოჩენას. ქართულ პოეზიაში ლექსს – „ლექსი მენყერი“ პოეტის პორტრეტისა და ქმნადობის პროცესის აღწერის თვალსაზრისით, მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები თუ დაუდგება გვერდით (გვ. 196) და იქვეა კომპეტენტური მკვლევარის – გურამ ასათიანის დამონშენა.

უწნაურად ჩამოაყალიბა ავტორმა ტიციანის ეხოვრების ზედნიერების პრინციპი: „პიერო და კოლომბინა“, „ლექსი მენყერი“. „მეგობრობა“, „ნიკა“ („შენიროლი ხარ იმავე ტანის“).

ტიციანის დაკითხვის ზოლო წუთებსაც კითხვა-პასუხით წარმოადგენს ავტორი, ხოლო ნიგნს ურთავს ნაწყვეტს ლექსიდან – „არც ქარს ვანუსებ საფლავის თხრისთვის“.

„ეპილოგის მაგიერ“ ტრავმა-კომიკური შტრიხებით იშლება „ანტისაზოკური“ შეტყმულების თავკარად გიორგი სააკაძის დასახელებითა და ჯალათთა ნოსტეში გამნესებით.

„ტიციანელო“ შემეწინებითი თვალსაზრისითაც საყვარდლებოა ეპოქის სუნთქვის დაჭერით, ნამის დაჭერით, რომელმაც ტრიალებს მთავარი გმირი – ტიციანი-ტიციანელო. რისფერი და შავ მიხაკებიანი გარეკანით დამშვენებული მურად მთვარელიძემ ნიგნი „ნითელი მიხაკის რაინდს“ უძღვნა, რითაც ჭეშმარიტად შესანიშნავი ნაწარმოი შესძინა ლიტერატურის ისტორიის მოყვარულთა თაროს.

# რეცენზია

## წინაპართა ნაკვალავი



შალვა ხაჩიძე

ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივუძვინებთ? ამ კითხვებში განსაკუთრებული თითქოს არაფერი უნდა იყოს, რადგან ყველა ერის, ხალხისა და თითოეული ინდივიდის არსებობა წარსულიდან იწყება, წინაპართა მიერ საყუყუნეთა ქარ-რეცხლში გამოვლილი აღმართ-დაღმართებით, რასაც ისტორია ჰქვია. თუმცა, დღევან-

დელი გადმოსახედიდან, როცა ე. წ. მასონთა სექტა მრავალი წლის მანძილზე საგულდაგულოდ შექმნილი მეთოდებითა და პროგრამით წარმატებით ახორციელებს ისეთი ძირძველი ერების, როგორც თუნდაც, ჩვენი ერია, მოშობას და გადაგვარებას, - მათი მიმდევრებისათვის ღიმილის მომგვრელი შეიძლება იყოს წინაპრებისა და მათი ღვანლის დაფასება-არდავინცება.

თუმცა, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სათანადოდ იყვანენ საკუთარი ფუძისა და წარმომავლობის ღირსებას და სსოვნას. ამ მხრივ არც ჩვენი რაიონია გამონაკლისი. (ხათუნა ჩიჭაძის სენტიმენტალური ნაშრომი - „გამარჯობა, მამა“

გავისხენოთ, რომელიც ავტორმა მშობლიურ ზვარეს, ჩიჭაძეების გვარის ისტორიას და მამის - წნობილი ექიმის, სერგო ჩიჭაძის მოღვაწეობას მიუძღვნა).

ამ თემატიკას ეხმიანება ვასილ ხაჩიძის წიგნი - „ფაშისტურ ჯურღმულეებში“ ანუ „წინაპართა ნაკვალავი“. წიგნში, დღიურის სახით ასახულია ის სასტიკი და აუტანელი ყოფა, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის დროს, ტყვედ ჩავარდნილ ჩვენს თანამემამულეებს, მათ შორის ვასილ ხაჩიძის მამას - სერგო ხაჩიძეს გადახდა თავს. მკითხველი გულგრილად ვერ აუცილის გვერდს ტყვეთა ზანაკებში გატანჯული თვითმხილველის მონათხრობს.

თუთუნზე გადაწვლილი უძი კარტოფილის ნაფრქველების, მავთულბლართიდან მოპოვებული ზალახისა და რხელ ნყალში გახსნილი ქაქოს გარდა, სიყვლე და მათრახი - „ტყვეთა ყოველდღიური მენიუ.“

აქ მოთხრობილი ამბავი არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის უბედურება, ეს მსოფლიოს ტრაგედიაა, რომელიც მას ფაშიზმმა დაატყვება თავს და რომელსაც უამრავი ადამიანის სიწოცხლე და ჯანმრთელობა შეენირა. ეს წიგნი მავალითა იმისა, როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი წინაპრების მიერ ჩვენამდე მხრებით, სისხლითა და ოფლით მოტანილ სიწოცხლეს და როგორც წიგნის რედაქტორი, ბატონი რობერტ სუხიაშვილი აღნიშნავს: „ეს წიგნი ერთი, მყარი და უტყუარი აგურია რაიონის ისტორიის, საქართველოს დიდი ისტორიის შენობის ასაგებად და გადასარჩენად.“

როგორ წარმოართა სერგო ხაჩიძის ომის შემდგომი რხვეობა და როგორ ღირსეულად განვლო დარჩენილი წლები, - ამას წიგნიდან შეიტყობთ. ბატონ ვასილს კი ვულორავთ დაბადების დღეს და სახელოვანი მამის 100 წლის იუბილეს.

## საზოგადოებრივი კვირეული ხაზი

მიმდინარე წლის 5 მაისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გახსნა საბიბლიოთეკო კვირეული, რომლის მიზანი იყო ხელოვანი ბიბლიოთეკარების წარმოჩენა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება ღირსეულად წარსდგა საბიბლიოთეკო საზოგადოების წინაშე ხელით ნაქარგი წიგნით, რომელიც ჩვენმა თანამშრომელმა, ნიჭიერმა ქალბატონმა ხათუნა ჩიჭაძემ დაამზადა. აგრეთვე, ბიბლიოთეკარების მიერ შესრულებული ნახატებით, ნაქარგებით, ხელით მოხატული სააღდგომო, დეკორატიული კვერახებით. გამოფენას ამშვენებდა სურამის ბიბლიოთეკის „სიწოცხლის ხე“, და კიდევ სხვა, თვალსაჩინო ნამუშევრები, რომლებმაც დამთვალიერებლის დიდი მონონება დაიმსახურა. გამოფენაში მონაწილეობდნენ: ლეილა მარგველაშვილი, ნინო კახიშვილი, ხათუნა ჩიჭაძე, ნინო შილაკაძე და თქვენი მონა-მორჩილი, რომელმაც წარადგინა პრეზენტაცია საბიბლიოთეკო ინოვაციების შესახებ. ერთ-ერთი ინოვაცია იყო ის, რომ ხაშურის ბიბლიოთეკა მკითხველისთვის მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით. აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ კვირეულის გახსნაზე, ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი ჩვენი ქალაქიდან გახლდათ, - 19 თანამშრომელი. გამომრეშობა „წიგნი+ერის“ დირექტორმა, ქალბატონმა მზია რაზმაძემ საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნაზე საჩუქრად გადმოგვრა წიგნები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები მადლობას ვუხდით ამ პროექტის იდეის ავტორს, ქალბატონ ინგა ლორიას და საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტს, ქალბატონ რუსუდან ასათიანს.

7 მაისს, ხაშურში საბიბლიოთეკო კვირეული - „წარმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა“ გახსნილად გამოუხადდა. მე, როგორც საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა, ღონისძიების ფარგლებში საზოგადოებას წარვუდგინე საანგარიშო პრეზენტაცია „კვირეულიდან კვირეულამდე“. გახსნას ესწრებოდა ქალაქის ინტელიგენცია, ბიბლიოთეკის მეგობრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ბიბლიოთეკის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში პატარა შემოქმედის, ნურა ჩიჭაძის ნახატების გამოფენა მოეწყო, რამაც მნახველთა აღფრთოვანება გამოიწვია. ხაშურის მთავარმა ბიბლიოთეკამ მე-6 საჯარო სკოლის შემოქმედ მოსწავლეებსაც უმასპინძლა, რომლებმაც წარმოადგინეს საკუთარი შემოქმედება და საყვარელი პოეტების ლექსები. ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი - ფატი სადალაშვილი) გააღამაზეს საღამო. კვირეულის მონაწილენი დაჯილდოვდნენ მადლობის სიგელებით და წიგნებით. ქალბატონმა ინეზა ელისაშვილმა, საქართველოს ჰედაგოგთა და მუხრანთა თავისუფალი პროფკავშირის სახელით, მოსწავლეები საჩუქრებით დააჯილდოვა.

8 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტისა და კულტურის სამსახურის, აგრეთვე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით, საზავშვო ბიბლიოთეკასთან არსებული თეატრალურ-მუსიკალური წრის ზავშვები ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და მშობლებთან ერთად, საზღვრისპირა სოფელ ნაღვლის საჯარო სკოლას ესტუმრნენ და კონცერტითა და სპექტაკლით წარადგინეს თანატოლების წინაშე.

11 მაისს კი, ქალაქში მათ მიერ კონცერტული მსვლელობა მოეწყო. ზღაპრის გმირებმა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დაარბიეს ბიბლიოთეკის ზუკლეტები და მოსახლეობას მოუწოდეს: „ჩაუქეთ ერთი წიგნი ბიბლიოთეკას!“

იმავე დღეს, წრამუხის ბიბლიოთეკაში მოსწავლეებმა აფხაზეთში დაღუპული ღიმილის ზიჯის, იური რუქერიძის სსოვნისადმი მიძღვნილი კომპოზიცია წარმოადგინეს - „მათ სსოვნას ქვეყანა სახლავად აინთებს“ და ყვავილებით შეამკეს სამშობლოსათვის დაღუპულთა საფლავები.

ღღის ზოლოს, კალიგრაფიისა და სწრაფი კითხვის კონკურსის გამარჯვებულები შესაბამისი მადლობის ზარათებით დაჯილდოვდნენ.

14 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა, სადაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა დასკვნითი ანგარიში წარადგინა საზოგადოების წინაშე.

ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანება არის თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო ცენტრი, რომელიც მრავალფეროვან, თანამედროვე სერვისებს სთავაზობს საზოგადოებას. ბიბლიოთეკა 95000 რაოდენობის წიგნად ფონდს ფლობს, მათ შორის ურბონოვან ლიტერატურასაც. ბიბლიოთეკა თანამედროვე კომპიუტერული სისტემით არის აღჭურვილი, სადაც ფუნქციონირებს ურბო ენისა და კომპიუტერის შემსწავლელი წრე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ვასწავს სწავლების დამადასტურებელ სერთიფიკატს. ასევე, არსებობს სხვადასხვა, საინტერესო კლუბები: მშობელთა კლუბი, ქალთა კლუბი, წიგნის მოყვარულთა კლუბი, „საზღვრები ბიბლიოთეკაში“, „მამიებლები“, „კულინარიის კლუბი“.

ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველს სხვადასხვა სახის სიახლე და საინტერესო გარემო ელოდება.

გახდით ბიბლიოთეკის მეგობარი!

მაკა დიდუბულიძე  
ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველი

# ზაფხულია, ცხელია, ცხელია...

## მათი წარმატება ხაშურის წარმატებაა

ზაფხული, დასვენების გარდა, კონკურს-ფესტივალების სეზონთანაურ ასოწრდება და განსაკუთრებული სიხალისე ახლავს თან. სტიმულითა და წარმატების მოლოდინით სავსე დღეები თითქოს შემაჯამებელი აკორდია მთელი წლის შემოქმედებითი მუხტითა და შრომით მიღებული შედეგის.

საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში გამართულ ფესტივალებში ხაშურის სხვადასხვა შემოქმედებითა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. საესტრადო ანსამბლმა – „**წიწნათელა**“ (ხელ-ლი გივი ლიჩელი) ურეკში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე – „ვარდობისთვე გურიაში“ პირველი ადგილი აიღო. ხაშურის ზაფხულთან ფოლკლორულ ანსამბლს – „**სალალიზი**“ (ხელ-ლი ხათუნა სისაური) ქობულეთში, XIV საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში – „ზღვის ჰარმონია“, ნომინაქიაში – „საყუთესო უძველესი, მრავალხმიანი შესრულება“ ლაურეატის ნოდება მიენიჭა. საზაფხულო თეატრალური ნრე – „**აკარიუმი**“ (ხელ-ლი ეკა ზაქრადე) ქობულეთის საზაფხულო საერთაშორისო ფესტივალიდან – „მზიანი საქართველო“ 4 ნომინაქით დაზრუნდა: „როლის საყუთესო მიგნება“ (სანდრო კაპანაძე, გუჯა გოგალაძე, გიორგი ზაქრადე) და „საყუთესო მუსიკალური გაფორმება“. ასევე, ამავე ფესტივალში წარმატებით მიიღო მონაწილეობა ხაშურის ახალგაზრდულმა დასმა (რეჟისორი გია რევედაძე).

ვულორავთ წარმატებას ყველა შემოქმედებით კოლექტივს. მათი წარმატება ხაშურის წარმატებაა.



საბაგში თეატრალური ნრე „აკარიუმი“



ბაგშია უილელირული ანსამბლი „სალალიზი“



ბაგშია ხეცხრალი ანსამბლი „აკარიუმი“

